ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №4282686

ნომერი: AR1645347

თარიღი : 20.11.2018

გაცემის თარიღი : 07.12.2018

გაცნობის თარიღი : 09.12.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბუხაიძე , N 31;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ჯემალ აბაიშვილი პ/ნ 01009002578
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. VI კვ. კორ. 27 ბ. 44

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქთბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 3 ნოემბრის N2260037 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 20 ნოემბერ AR1645347 განცხადებით მომართა მოქალაქე ჯემალ აბაიშვილმა და მოითხოვა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 3 ნოემბრის N2260037 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, ფუნქციური ზონის ცვლილების მიზნით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 3 ნოემბრის N2260037 ბრძანებით ქ. თბილისში, ბუხაიძის ქ. N31-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.16.06.046.014) ინდ. ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების (ნაკვეთზე

ვრცელდებოდა შემდეგი ფუნქციური ზონები: საცხოვრებელი ზონა–3 (სზ–3); სარეკრეაციო ზონა–1 (რზ–1); სატრანსპორტო ზონა–1 (ტზ–1))
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 10 ივნისის N15-43 დადგენილებით, შეტანილ იქნა ცვლილება ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში, ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ბუხაიძის ქ. N31-ში არსებული მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.16.06.046.014, (178 კვ.მ) დაზუსტდა კონტური სატრანსპორტო ზონა 1-ს, სარეკრეაციო ზონა1-სა და საცხოვრებელ ზონა 3-ს შორის, კერძოდ: სატრანსპორტო ზონა 1 და სარეკრეაციო ზონა 1 შეიცვალა საცხოვრებელი ზონა 3-ით.
ვინაიდან, ამ ეტაპზესაპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება მხოლოდ საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3), საჭიროა 2015 წლის 3 ნოემბრისN2260037 ბრძანებაში შევიდეს ცვლილებადა ფუნქციურზონად დაფიქსირდეს საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილებისან დამატებისშეტანის უფლებააქვს მისგამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

## ვბრძანებ

1. შეტანილ იქნას ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 3 ნოემბრის N2260037 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და ფუნქციურ ზონად დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3).
2. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 3 ნოემბრის N2260037 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებიდან ამოღებული იქნას შემდეგი ჩანაწერი: კოეფიციენტების ანგარიშის არცერთი ზონის მოთხოვნა არ უნდა დაირღვეს; დაცულ იქნეს ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი (იხ. დანართი).
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 3 ნოემბრის N2260037 ბრძანებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

---

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.